ხელშეკრულება საქონლის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №59

ქ. თბილისი 01 მარტი 2016 წელი

ჩვენ, ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი (შემდგომში – შემსყიდველი), მდებარე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2-ში, წარმოდგენილი აპარატის უფროსის ელენე დუმბაძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ, შპს „ტესტ ჯორჯია" (შემდგომში – მიმწოდებელი), მდებარე: ქ.თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №5, წარმოდგენილი დირექტორის ვახტანგ ბაკურაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი, ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 ხელშეკრულების საგანია: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის ბიუჯეტის სახსრებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების ონლაინ რეჟიმში გასაშუქებლად 1 ცალი ვიდეო სიგნალის ენკოდერის Broadcaster Pro სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
1.2 შესყიდვის ობიექტია: 1 ცალი ვიდეო სიგნალის ენკოდერი Broadcaster Pro, რომლის ღირებულებაა- 2 950 (ორიათასცხრაასორმოცდაათი) ლარი.
1.3 კლასიფიკატორის კოდი: 322 000 00; 322 230 00.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება: ლარში.
2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 2 950 (ორიათასცხრაას ორმოცდაათი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადისა და გადასახდელის, ასევე ყველა ხარჯის, რომელიც დაკავშირებულია საქონლის შესყიდვასთან) ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა: ხელშეკრულების დადებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.
3.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი.
3.3. მომსახურების მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2.

4. საგარანტიო პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადა შეადგენს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წელს.
4.2 წუნდებული ან/და საგარანტიო პერიოდში დაზიანებული საქონლის შეკეთება ან/და შეცვლა უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
4.3 საგარანტიო მომსახურების აუცილებლობის შემთხვევაში, საქონლის ტრანსპორტირება უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი".
5.3. „შემსყიდველი" ვალდებულია წერილობითი სახით, აცნობოს „მიმწოდებელს" საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურებისა და წუნდების მიზეზის მითითებით.
5.4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროტოკოლის განყოფილების თანამშრომლების დასკვნის საფუძველზე განახორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი (ხ. ბენდელიანი).

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს:
- შეამოწმოს გაწეული საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
6.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:
- დროულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
6.3 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
- მოსთხოვოს „შემსყიდველს" გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
6.4 „მიმწოდებელი" ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
- დროულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

7.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
7.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
7.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო.
8.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): საქონლის მიღების შემდეგ, აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

8.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები და მიღება-ჩაბარების აქტი.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც წერილობით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.
9.3. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების/შეტყობინების შემდეგაც არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო/ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.
9.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.5 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
9.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ს.
9.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ფორს–მაჟორული სიტუაციები

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
10.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
10.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
11.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

11.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან ახორციელებენ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროტოკოლის განყოფილების თანამშრომლები.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
12.2 თუ მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხებზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის უშედეგოდ გასვლის შემდგომ დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

13.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 12 მაისის ჩათვლით.
13.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე:
ა) მხარეთა შეთანხმებით.
ბ)ამ ხელშეკრულებით დადგენილი მოთხოვნების „მხარეთა" მიერ შეუსრულებლობის გამო;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
14.2. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
14.3. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.4. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ცნებების განმარტებისას ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი
მის: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
სს „ლიბერთი ბანკის" ცენტრ. ფილ.
ბ/კოდი: LBRTGE 22
ა/ა GE 95 LB 012 515 210 162 7000
ს/კ 204 495 055

ელენე დუმბაძე

მიმწოდებელი:

შპს „ტესტ ჯორჯია"
მის: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ.№5
სს „თიბისი ბანკი"
ბ/კოდი TBCBGE22
ა/ა GE 24 TB 7533 9360 2010 0001
ს/კ 405 031 932

ვახტანგ ბაკურაძე